

ჯარის ნაწი-
ლებს უფასოდ
ეგზავნებათ.

10 ოქტომ. 1920 წ.

ფარგველი
საქართველო


მსგდარი

ფასი 25 მან.

№ 19

ორგანო საგზ. საინ. კულტ.-განათლ. საქმიისა.

№ 19



ყაზარმაში თავისუფალ დროს.

ნახატი კაბ. შავიშვილისა.

7807 F-5795

ტფილისი, 10 ოქტომბერი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რესპუბლიკის ჯარისკაცების მიმართ ნივთების

სამართლიანი ყველაფერი ხალხისთვის! — მოკპრობა. ეს არის დედა აზრი დემოკრატიულ რესპუბლიკისა. ამას ემსახურება რესპუბლიკის მთავრობა, ამას ემსახურება ჩვენი ქვეყნის ყოველი დარგი კულტურისა, ამას ემსახურება ჩვენი შეიარაღებული ძალა, ამას უნდა ემსახურებოდეს ყოველი სახელმწიფო მოხელე თუ მუშა. ყოველი პასუხისმგებელი თანამდებობის პირი, თუ კერძო მოქალაქე.

ვისაც მეტი უფლება აქვს, მას მეტიც მოეთხოვება. ამას მოითხოვს სამართლიანობა. კერძოდ სამხედრო წოდებაში მიზან-შეწონილ მოქმედებისათვის დისციპლინა აუცილებელია მტკიცე და ურყევი დისციპლინა.

და ეს დისციპლინა უპირველესად უნდა სრულდებოდეს უფროსების მიერ, რომლებიც თავისი პირადის საქციელით მაგალითს უნდა აძლევდნენ ჯარისკაცებს. ჩვენს რესპუბლიკაში ჯარისკაცი ისეთივე სრულ უფლებიანი მოქალაქეა, როგორც ოფიცერი, და კანონის გარეშე მისი განსჯა და დასჯა შეუწყნარებელია. ეს უბრალო ქვეშაობა სამწუხაროდ ჯერ ვერ შეუგნიათ ზოგიერთ უფროსებს და ოფიცრებს. ამისი მაგალითია გადმოცემული ჩვენი ჟურნალში დღევანდელ ნომერში მოთავსებულ ბრძანებაში, რომლითაც სანართლიანი და დამსახურებული სასჯელი ეძლევა ჯარისკაცის გამლახველს ოფიცერს.

ყოველი დანაშაული მხოლოდ კანონით უნდა ისჯებოდეს და არც ერთ დამნაშავეს, კანონის გარეშე გამოძიების გარეშე, არ შეიძლება ხელი შეახლს ვინმემ, თუნდაც იგი იყოს დამნაშავე და ჯარისკაცი.


კანონი მიუდგომელი და ობიექტიურია ყველასათვის, პიროვნების პირადი შერგნება და შეწონება კი სუბიექტიურია. და მუდამ სახიფათოა პირად გულისტკმით ვისიმე გასამართლება.

ამისთვის დიდი წინდახედულობა და სიფრთხილე ჰმართებთ ოფიცრებს ჯარისკაცების დასჯის დროს, რადგანაც თვითონ კანონიც ამბობს, რომ „უმჯობესია ათი დამნაშავე გასამართლო, ვიდრე ერთი უდანაშაულო გამტყუნოვო“.

მტყუანს და მართალს სასამართლო უფრო გაარჩევს, ვიდრე პირადი გულისტკმა.

სამართლიანი მოპყრობა.

პოლკოვნიკი აბესაძის მიერ თანახმად ჩემი ბრძანებისა ნაწარმოები კვლევა ძიებიდან გამოირკვა შემდეგი: ა. წ. აგვისტოს როცა გემ „მერანით“ შევებულემაში უნდა გამგზავრებულიყო მე-2 ათასეულის ორასამდე ჯარისკაცი, იმავე ათასეულის მაიორმა ლექვინაძემ მიიღო ცნობა, რომ რომოდენიმე ჯარისკაცმა გაიტაცა ათასეულიდან სახაზინო ნივთები სოფელში წასაღებათო. მაიორი ლექვინაძე მყისვე გაეშურა ნავთსადგურისკენ სამი ჯარისკაცისა და ერთი ლეიტენანტის თანხლებით. მან შეკრიბა გემზე მყოფი ჯარისკაცები და გამოუცხადა მათ: მე ვიცი, რომ ზოგიერთმა თქვენგანმა წაიღო ათა ეულიდან ახალი სახაზინო ნივთები, რომელიც ძლიერ საჭიროა აქ დარჩენილ ჯ.კაცებისათვის, ამიტომ გიბრძანებთ, აქვე ჩავვაბაროთ აღნიშნული ნივთები. არავინ პასუხი არ გასცა, მაშინ მაიორმა ლექვინაძემ დაიწყო ჩხრეკა ჯარისკაცების ბარგისა და როცა შენიშნა ერთი ჯ.კ. ფეხშიშველია დაეკითხა მას, სად არის ფეხსაცმელიო და მისგან მიიღო პასუხი „არ მომცესო“ — გაუჩხრიკა ბარგი მას და იპოვა ორი წყვილი ახალი ხამლები (ბათინკები) და ორი ახალი მაზარა. ჩამოართვა ეს ნივთები და გაართყა სილა. მეორე ჯარისკაცს, რომელიმაც არ დაანება თავის ახალი ხამლები (ბათინკები) გახადა მას ძალით და ყუთის გაჩხრეკის შემდეგ მასაც უნახა ერთი წყვილი ახალი ხამლი; ჩამოართვა და სილა იმასაც გაართყა. მესამე ჯარისკაცს ბარგში აღმოაჩნდა სახაზინო კარავი და სილა იმასაც გაართყა. მეოთხეს ყოფილ მეკუჭნავეს გამოაჩნდა ერთი ფუთი შაქარი, რომელიც ჩამოართვა, მაგრამ არ უცემია, ვინაიდან ეს უკანასკნელი გამოტყდა და ბოლიში მოიხადა. სულ მაიორმა ლექვინაძემ ჩამოართვა ჯარისკაცებს რვა წყვილი ახალი ხამლი, ექვსი ცალი ნაბადის მაზარა, კარავი და ერთი ფუთი შაქარი. ამნაირად, მაიორმა ლექვინაძემ გამოაჩინა რა ერთის მხრივ დიდი ენერჯია და სამსახურებლივი მოვალეობის ზედმიწევნით ასრულების უნარი, რაც გამოიხატა დასახელებულს ნივთების ხაზინისადმი დაბრუნებაში, მეორე მხრივ მან ვერ შესძლო მართებული სიმალღეზე თავის დაქერა და იმის მაგიერად, რომ ბოროტ-მომქმედნი ჯარისკაცები დაეჭირა და პასუხისგებაში მიეცა, მან ისინი ცემა-ტყვებით გაისტუმრა სოფლისაკენ. რამდენადვე მაიორი ლექვინაძის პირველი საქციელი საქებია და მისაბაძი, იმდენათვე მისი მეორე საქცი-



ელი ჯარის-კაცების მოქმედებით შეურაცყოფა გასაკვირია, დასაგმობი და სასტიკად დასასჯელი, მაგრამ ვიღებ რა მხედველობაში მისი ხანგრძლივი სამსახურს და იმ უწარჩინებულეს ატტესტაციას, რომლითაც მას ახასიათებს სამსახურებლივი თვალსაზრისით მისი უფროსი, ათასის თავი, ამ შემთხვევაში, საკმარისად ვსცნობ მისთვის დისციპლინარულ სასჯელს. ვაპტიმრებ ლექქინაძეს ჯარის-კაცების გალახვისათვის გაუფთხებტში ხუთი დღე და ღამით და მასთან ვაფრთხილებ მას, რომ თუ მან შემდგომი ასეთი სამარცხვინო და ადამიანის ღირსების დამამცირებელი საქციელი, კიდევ ერთხელ განამეორა, იგი სრულიად დათხოვნილი იქნება სამსახურიდან და პასუხისგებაში მიცემული. ეს სასჯელი დაუკონებლივ მოიყვანოს სისრულეში ათასის თავმა. ათასის თავმა მიიღოს ზომები დაქვრილ იქმნას დამნაშავე ჯარის-კაცები და მიცემულნი პასუხის გებაში. გარდა ამისა ვბრძანებ: იქნას სახელმძღვანელოდ მიღებული და სრულის სიმტკიცით დაცული ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ № 130. ეს ბრძანება წაკითხულ იქნას გუნდებში და რაზმებში.

ბრძანებები

სამხედრო სამინისტროს კულტურა-განათლების სექციის მიმართ

№ 47

2 ოქტომბერი 1920 წ. ქ. ტფილისი.

§ 1.

ვაცხადებ მოქალაქე-მასწავლებელთა და ნაწილებში კულტურულ მუშაობის ინსტრუქტორ-ოფიცერთა საყურადღებოთ და სახელმძღვანელოთ შემდეგს: სამხედრო სამინისტროს კულტურა-განათლების სექციას უმთავრესათ ორი მიზანი აქვს დასახული: 1) შეგნებული მფარველი ძალის შექმნა ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისთვის და 2) სამსახურ გათავებულ ჯარის-კაცების შეგნებულ მოქალაქეებთან დაბრუნება თავ-თავიანთ ოჯახებში. ისეთ დემოკრატიულ რესპუბლიკაში, როგორც არის ჩვენი, სადაც მფარველი ძალის მძლეთა-მძლეობა შეგნებას ეყრდნობა და რომელშიაც ხალხის შეგნებისაგან შექმნილი ზურგის სიმაგრე ჰქმნის ფორტის სიმტკიცე-სიძლიერეს, ერთს და იმავე დროს და ერთნაირად აუცილებელია, როგორც ჯარის, ისე ხალხის შეგნება-განვითარება. აი, ამ

შეგნება-განვითარების საშუალებით, უნდა შექმნას სექციამ ჩვენს ქვეყანას ერთს მფარველი ძალა, ხოლო მფარველი ძალის საშუალებით, გადსტორცნოს ეს მისგან ჯარში შეტანილი შეგნება-განვითარება ხალხში და მიიღოს მისგან სამაგიეროთ უფრო სალი და გამოსადეგი მასალა ამავე მფარველი ძალის შესაქმნელათ. მხოლოდ და მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება ჩვენს რესპუბლიკას, საჭიროების დროს, ჰქონდეს ურყევი ფორტი და უდრეკი ზურგი, აი ამ მდგომარეობამ გამოიწვია სამხედრო და სამოქალაქო ინტერესთა ერთ ჩარჩოებში მოქცევა, მათი ერთმანეთში შედუღება-გაერთიანება. ამიტომაც გვყავს დღეს თითვეულ ათასეულში დანიშნული ერთი მოქალაქე მასწავლებელი და ერთიც მხედარი—ოფიცერი. მოქალაქე მასწავლებელს ევალება შეიტანოს ჯარში საზოგადო ხასიათის შეგნება-განვითარება, ოფიცერს — კი სამხედრო დარგის ცოდნა. უკანასკნელს ვაეალებ აგრედვე კულტურული მუშაობის ტეხნიკურ მხარესაც. თავ-თავიანთ მოვალეობის შესრულების საქმეში მთელი თავის ძალ-ღონით, პირველი უნდა ეხმარებოდეს მეორეს და მეორე კი პირველს. როცა ერთი მათგანი რაიმე მიზეზის გამო მეცადინეობას ვერ ესწრება, იმ შემთხვევაში შეორეს ევალება, როგორც თავის, ისე პირველის მოვალეობის შესრულება, თუ კი მას საამისო ცოდნა შესწევს. მოქალაქე მასწავლებლისაგან ჯარში შემოტანილი საერთო ხასიათის შეგნება-განვითარება ინსტრუქტორ-ოფიცერმა უნდა გამოიყენოს საშუალებათ ჯარშივე აზრიანი დისციპლინისა და მოვალეობათა შეგნების განმტკიცების საქმეში. ორივემ ერთათ კი უნდა შეუქმნან ჩვენს დემოკრატიულ სახელმწიფოს—მტკიცე, შეგნებული მფარველი ძალა—გარეშე მტრის მოსაგერებლად და შეგნებული მოქალაქეები-კი შიგნით წეს-რიგის დასაცველათ და მაგარი ზურგის შესაქმნელად. აი, მოკლეთ ის მიზანი და მისწრაფება, რომლის სისწორით განხორციელებას უბრძანებ სექციის მიერ ნაწილებში დანიშნულ ყველა ოფიცერებსა და მოქალაქე მასწავლებლებს.

№ 48

3 ოქტომბერი 1920 წ. ქ. ტფილისი.

§ 1.

რესპუბლიკის ჯარის თითვეული ნაწილის მოქალაქე მასწავლებელმა და ინსტრუქტორ-ოფიცერმა დაუკონებლივ წარმოადგინოს სამხედრო სამინისტროს კულტურა-განათლების სექციაში დაწ-

ერილებითი ცნობა იმის შესახებ, თუ 1) რამდენი იყო და არის მათდამი რწმუნებულ ნაწილში წერაკითხვის უცოდინარი. 2) რამდენმა ისწავლა თქვენ მიერ წერაკითხვა დღემდე. 3) რამდენი საუბარი და ლექცია გაიმართა. 4) რა და რა წარმოდგენა დაიდგა და რამდენჯერ. 5) ლექციის მაგიერ რამდენჯერ და რა და რა წიგნი იქნა წაკითხული ჯარში მასწავლებლის, ან ოფიცრის მიერ. 6) ჯგუფური კითხვა-განმარტება ჟურნალ-გაზეთებისა ჯარის-კაცებში მოწყობილი აქვთ თუ არა. 7) რა უწყობს ან რა უშლის ხელს ჯარში კულტურული მუშაობის ნაყოფიერად წარმართვას. 8) როგორის თანაგრძნობით ეკიდება ოფიცრები ჯარში კულტურულ მუშაობას და რამდენი მათგანი ღებულობს ამ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას. 9) ოფიცერთა შორის კულტურული მუშაობის წრე შექმნილია თუ არა. 10) რანაირ შთაბეჭდილებას სტოვებს ჯარის-კაცებზე კულტურული მუშაობა. 11) რამდენად შეუწყო ხელი კულტურულმა მუშაობამ ოფიცრებისა და ჯარის-კაცების ერთმანეთთან დაახლოვებას. პირველი ხუთი შეკითხვის პასუხი შემოწმებულ უნდა იქნას ნაწილის უფროსის, ან მისი თანაშემწის მიერ, 12) ამიერიდან ყოველი თვის დამლევს წარმოდგენილ იქმნას სექციაში ასეთივე მოხსენება.

§ 2.

ტფილისის გაზნიზონში მყოფ მასწავლებლებს და ინსტრუქტორ-ოფიცრებს წინადადებას ვაძლევ: ყოველ შაბათობით, დილის ათ საათზე გამოცხადდნენ სექციაში და, გარდა თვიური წერილობითი მოხსენებისა, პირადათ მომახსენონ მათდამი რწმუნებულ ნაწილებში, კულტურული მუშაობის მსვლელობაზე.

მთავარი ხელმძღვანელი
პოლკოვნიკი ართმელაძე.

ჯარის და ოჯახი.

მთელი წარსული კაცობრიობისა დაუსრულებელი ბრძოლაა არსებობისათვის. ადამიანს არავისთან და არაფერთან იმოდენა განუწყვეტელი ომი არ უწარმოებია, როგორც თავის მზგავსებთან.

ხალხთა ცხოვრების უკანასკნელ ხანის განმავლობაში—3357 წელიწადში—227 მშვიდობიან წლებზედ მოდის 3130 ომიანი წლები, რაც ერთ მშვიდობიან წელიწადზე შეადგენს 13 ომიან წელიწადს.

ეს გვარწმუნებს ჩვენ ომის აუცილებლობაში. „ომთა მიზეზები მრავალნი არიან, მაგრამ ერთი კი მუდმივია—ყველაზედ მძლიერი სახელმწიფო თავს ესხმის სუსტს. ამიტომ მიწის მუშას შეუძლიან თავის მინდვრების მშვიდობიანათ დამუშავება, ვაჭარს—ვაჭრობა, მოხელეს თავის საქმით მუშაობა, მეცნიერებს გაგრძელება თავის შრომის ნაყოფისა და ახალგაზრდებს კი სწავლა, მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფოს იცავს მძლავრი და მამაცი ჯარი“.

დაცვა სამშობლოსა არის უწმინდესი მოვალეობა ყოველი მოქალაქისა.

ასე უყურებენ ამ საქმეს არა მარტო ჩვენში, არამედ მსოფლიოს ყველა განათლებულ სახელმწიფოებში.

განსაზღვრულ ჰასაკის ყველა მდგომარეობის მამაკაცი ექვემდებარება სამხედრო ბეგარას.


სამსახურში არ უნდა იქნეს დაშვებული სასამართლოს გადაწყვეტილებისამებრ დანაშაულობის ჩადენისათვის პირადათ ან მდგომარეობით შეძენილ ყველა ან ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლებათა მოკლებულნი.

წოდება მეომრისა, ჯარის კაცისა მაღალი და საპატიოა. ამ სახელწოდებას ვერ ატარებს ბოროტების ჩამდენი, დამნაშავე, იყვნენ სახელმწიფოები, სადაც სამხედრო სამსახური შეადგენდა მცხოვრებთა უმაღლეს კლასთა უპირატესობას.

მშვიდობიანობის დროს სამსახურიდან თავი სუფილდებიან მხოლოდ შრომის უნარის მქონე ერთად-ერთი წევრი ოჯახისა, რომლებიც ამასთანავე ერთად-ერთი მარჩენლები არიან ოჯახის დანარჩენ წევრთა.

ერის ახალგაზრდობისას, მისი ყრმობის ხანაში ყოველი მამაკაცი ამავე დროს მეომარიც არის ომის წარმოშობისას ყველა მამაკაცი, ვისაც შეეძლო იარაღის ტარება, გამოდიოდა თავის სამშობლოს დასაცავად. მაგრამ ეს შესაძლო იყო მხოლოდ მანამდე, სანამ ბრძოლის იარაღი არ გამოჩნებოდა ჯოხებს და მათ მზგავს პირველ ყოფი ხელსაწყოებს. მაშინ საომარი მოქმედების წარმოებისათვის არავითარი სწავლა, მომზადებაც საჭირო არ იყო.

მას მერე, რაც სახელმწიფოებში მცხოვრებრიცხვი გაიზარდა, საჭირო აღარ იყო ომში გასვლიარაღის ტარების ყველა შემძლეთ. შესაძლებელ გახდა შრომის განაწილება. ერთნი აშუშავებენ მინდვრებს, სთესვენ, მკიან, მეორენი ემზადებიან სამხედრო მოქმედებისათვის და ომიანობისას გადიან ბრძოლის ველზედ. რასაკვირველია, ამ უკანასკნელ მ



ნისათვის ირჩევენ ჯანსაღ და ღონიერ ხალხს. თანდათანობით წარმოიშვება სამხედრო მეგრის მზავისი მოვლენობა.

ცხოვრების ამა თუ იმ ხანაში სხვა და სხვა ხალხის შეიარაღებულ ძალთა მოწყობილობა სხვა და სხვა და მრავალნაირი იყო. პირველად ყოველისა უნდა მოვიხსენიოთ მოხალისეთა—რაზმები, რომლებიც მთელ თავის სიცოცხლეს ანდომებდნენ სამხედრო სამსახურს და შედიოდნენ სამსახურში ამა თუ იმ მფლობელთან. ასეთი საომარი რაზმი ჰყავდათ გერმანელებს, კელტებს, სლავიანებს და სხვ. ზოგიერთ ერებს ჰყავდათ სამხედრო წოდება, კასტა, ე.ი., განსაკუთრებული ნაწილი მცხოვრებთა ჩამომავლობიდან ჩამომავლობაზე ეწოდნენ სამხედრო სამსახურს, რისთვისაც მინიჭებული ჰქონდათ სხვა და სხვა უპირატესობანი. ხანდახან ჰკრებდნენ სამილიციო ჯარს (მილიცია), რომელიც შესდგებოდა მოქალაქეებისაგან, რომლებიც თავს იყრიდნენ დროშის ქვეშ მხოლოდ ომის განმავლობაში. მშვიდობიან დროს კი მათი აღზრდა, სწავლის საქმე ძლიერ სუსტი იყო. ბოლოს სახელმწიფოთა უმრავლესობამ შემოიღო მუდმივი ჯარი, რომელიც უმეტეს წილად შესდგებოდა დაქირავებულთაგან, რომლებიც თავის კეთილ სურვილით შედიოდნენ სამსახურში. მაგრამ, ვინაიდან მათ ამოდრავებდა არა სურვილი სამშობლოსათვის სამსახურისა და მისი დაცვისა, არამედ მარტო ჯამაგირი და კერძოთ თავისი ხეირი, ამიტომ ომში ძალიან ნაკლებათ იჩენდნენ აუცილებელ აღფრთოვანებას, ხშირად ჰკარგავდნენ მორჩილებას, სკარცვადნენ იმავე ქვეყანას, რომლის დასაცავად იყვნენ მოწვეული და ანგრევდნენ მშვიდობიან მცხოვრებთა ავლა-დიდებას. ეს ხვდებოდა იმიტომ, რომ ნებისა დაქირავებულთა უმრავლესობა მოკლებული იყო მაღალ გრძნობას „მშობლიურ ქვეყნის, თავის სამშობლოს სიყვარულისას“.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი დარგის ჯარები განიცდნიდა დანარცხებას, როდესაც კი ომში ხვდებოდნენ რეგულიარულ ჯარს, რომელიც ივსებოდა არა დაქირავების, არამედ საყოველთაოდ სავალდებულო სამხედრო ბევრის საფუძველზე და რომელიც, თუმცადა ცოტა სხვა სახით ვიდრე ეს, არსებობდა ზოგიერთ სახელმწიფოებში.

საბერძნეთმა და რომმა მიაღწიეს თვის სიძლიერის უმწვერვალესობას მაშინ, როდესაც მათ შემოდებულნი ჰქონდათ საყოველთაო სამხედრო ბეგარა, როდესაც მათი ჯარები შესდგებოდა სამშობლოს სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხისაგან. ამ ჯარებს ვერ უმკლავდებოდა ვერავინ.

ძველი ქვეყნის ერები, რომლებსაც კი ეოვ-ნულ ჯარის მაგიერ დაქირავებული ჯარის მფლობელი ღეს, ველარ გამოსწორდნენ წელში მზავისი მოვლენობა უარი ჰყვეს საყოველთაო სამხედრო ბეგარა, დაჰკარგეს თავისი ძლიერება, ისინი დაპყრობილ იქნენ რომის მიერ და, როგორც ითქმის, „იქცნენ გამაპოხიერებლათ სხვისი მიწისა“.

უახლოეს დროში საყოველთაოდ სავალდებულო სამხედრო ბეგარა პირველად შემოდებულ იქნა პრუსიაში.

ამ ახალი, პატრიოტიული ჯარის შემწევობით დანარჩენ გერმანულ ხალხებმა პრუსიის მეთაურობით დაამარცხეს საფრანგეთი, დაშლეს ავსტრია და მეორე-ხარისხოვან სახელმწიფოდან, გააძლიერეს ყველა გერმანული მოდგმის ხალხი, პრუსია იქცა უძლიერეს იმპერიათ.

პრუსიის შემდეგ საყოველთაო სამხედრო ბეგარა შემოდებულ იქნა ევროპისა თითქმის ყველა სახელმწიფოებში.

თანამედროვე რეგულიარული ჯარები, თავის საყოველთაო სამხედრო ბევრით წარმოადგენენ სამხედრო სკოლას მთელი ხალხისათვის და, საქიროების დროს, მოსულ მტრების გასარეკათ და სამშობლოს დასაცავად გამოვა არა მარტო მშვიდობიან დროს არსებული ჯარი, არამედ ეს უკანასკნელი შეიძლება იქცეს „შეიარაღებულ ხალხად“.

ა. მ — იძე.

ჰარი და სხეულები.

IV.

(დასასრული)

უკანასკნელ წერილში გავკრით შევეხე სასამართლოს. ესლა თავს ნებას მიეცემ და ფართოდ შევეხები ამ დარგსაცა და შევეხები შეიძლება მკაცრადაც, იმიტომ რომ იუსტიციის სასამართლომ ამ სფეროში უჩვეულო ნაბიჯები გადასდვა, რაიც სახიროს არის უქადის სამხედრო საქმიანობის წარმატებას. მე მოგახსენებთ იმაზე, რომ ღღეს გაუქმებულთა სამხედრო სასამართლო, მის ნაცვლად დანიშნულია ფრაქციათა კომისიები. არა მგონია ამაზე დიდი რამ დანაშაული იყოს ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის დასარღვევად. ერთხელ უკვე ვთქვით, რომ ყაზარმას საკუთარი ცხოვრება აქვს, საკუთარი წესები, რომელთაც სამოქალაქოსთან არავითარი არც მზგავსება და არც დამოკიდებულება აქვს. სულ სხვაა ყაზარმულ ცხოვრების პსი-

ბოლოვია, აგრედვე სხვა სამოქალაქო ცხოვრების სწრაფვა, პსიხოლოგია. ეს ასეც უნდა იყოს.

რას ასწავლის ყაზარმული ცხოვრება? რა თქმა უნდა, სამხედრო საქმეს, იარაღის მოხმარებას, გავლას და იმავე დროს სამშობლოსთვის თავის დადებას — სიკვდილს.

იმ დროს, როდესაც მინისტრები ნოტების გაცვლა-გამოცვლაში არიან, ჯარი უკვე თავის საქმეს აკეთებს, არას დაგიდევს, რას ამბობენ იქ; კაბინეტის ხალხი, საზღვრებს სცილდებიან, ისმის თოფის ხმა, ზარბაზნთა გრიალი, მოწინავე პოზიციები ცეცხლის აღშია ვახვეული. მათ იციან, რომ საზღვარზე ცოცხალი კედელია საქირო, მათი შიშველი გული. მოქალაქე კი ამ დროს დადის არხეინად. ცხადია, სულ სხვა და სხვა აზროვნება, სულ სხვა და სხვა ცხოვრების ფსიხოლოგია ამოქმედებს პირველს და უღარდელს მოქალაქესა. რაკი ასეა, დანაშაულობაზეც სულ სხვაგვარი მსოფლმხედველობა მუშავდება სამხედრო კაცის თვალში. აიღეთ სულ უბრალო მაგალითი: დარაჯს საგულშეგოზე ჩაეძინა. ეს სამხედრო თვალსაზრისით დიდი დანაშაულია.

მაშინ როდესაც გულმტკივნეული მოქალაქე იტყვის: დაიძინა და დაიძინა! რაი მერე! ალბათ დაღლილი იყო და იმიტომ დაიძინა, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, შიმშილ-წყურვილი, ძილი და უძილობა თანასწორად გვექვირებაო. აბა აიღეთ ახლა მე-251 მუხლი XXII წიგ. სადაც ნათქვამია, რომ ჯარის უფროსი, ვინც თავის ნაწილი მტერს ხელში ჩაუგდო, სიკვდილით უნდა დაისაჯოს. შეადგინეთ რამდენიც გნებავთ ნაფიც მსაჯულთა წრე, თქვენ შინაც ვერ მოახერხებთ, რომ ასეთი ჯარის უფროსი ან სიკვდილით დასაჯვინოთ, ან და მალაროვებში მუშაობა მიუსაჯოთ. ეს იმიტომ, რომ უბრალო მოქალაქეს არ ესმის სამხედრო წესები, სამხედრო ცხოვრების ვითარება. ამას წინად შემთხვევა მქონდა გენერალ კონიაშვილისა და პოლკოვნიკ წერეთლის საქმის გარჩევას დავსწრებოდი. საქმის გარჩევის დროს დაწვრილებით იბილაგდნენ „ფრონტის გარღვევის“ საკითხის, „მოვლისას“, „დახვეისა“, პოზიციებზე, ზურგის ჯარის მნიშვნელობაზე, ბრძოლის ტაქტიკაზე და სხვა და სხვა, რაზეც მოქალაქეს სრულიად წარმოდგენა არა აქვს. მაშასადამე, საქიროა, რომ ყოველი სამხედრო საქმე სამხედროსვე დაუთმით, იმათ ასწონდასწონონ, იმათ მოუარონ თავიანთ საქმეს და იქნუ ჩაუტრეფთ სხვებს, გული გულსა სცნობს, სული სულსა. ყაზარმას, ჯარს, მათს ცხოვრებას სულ განსაკუთრებული სახე აქვსთ და მათ საქმეში, მათ ცხოვრებაში ხელის გარევა იგივე იქნებოდა, რაც მოუვიდა კერენსკის, რომელიც ყოველგან და ყოველსფერში თავსა ჰყოფდა და აწეწვ-დაწეწვის იქით დაღაგებული არა გამოსვლია რა. ცხადია, რომ შეცდომაა, როდესაც ერთი კალმის მოსმით აუქმებენ სამხედრო სასამართლოს და ჯარს აცლიან ერთ უმნიშვნელოვანეს ყავარჯენს, რაზედაც

უნდა უფრო მეტის სიმტკიცით დაჰყრდნობოდა, ვიდრე ის იყო რევოლიუციამდე.

ამნაირად, როგორც ჩვენს წესდებებშიდან დავინახეთ, ჩემი სურვილი იყო დაეძინა ჩვენს ჯარისკაცებისთვის, თუ რა იყო საქირო, რა იყო უფრო მახლობელი საზრუნავი, რომ შეიქნეს ძლიერი და საამაყო ლაშქარი. რა თქმა უნდა, მე აქ არ შევხებივარ მრავალ ტენიკურ მხარეს, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი ქვეითი ჯარი, ცხენოსანი, ანუ საქართველოსთვის როგორ საქიროა თუშეშავ-ხევსურთაგან შეგვექმნა „ალბიური მსროლენები“, როგორცა ჰყავთ იტალიელებს და ფრანგებს, — ამათზე ალბად შემდეგში ცალკე წერილებში მოველაპარაკები ჩვენს შკითხველებს, — მაგრამ დღეისთვის რაც რამ აუცილებელია ჩვენთვის, ესაა უმთავრესად ჩვენი სულიერი და ფიზიკური სიმტკიცე: ხოლო ამის მთავარი ქურა არის დისციპლინა, უფროს-უმცროსობა, მეტი კულტურისა და შეგნების შეტანა და სამხედრო სამართლის ჯეროვან სიმალტზე დაყენება, — აი მოკლედ რაზე ვაჩერებ თქვენს ყურადღებას, აი რითი მსურს, რომ ჩვენი ქვეყანა უზრუნველ იყოს აუარებელ მტრებისგან, განსაკუთრებით ყვითელი მტრებისგან და ჩრდილოელთაგან, რომელნიც ლენინ-ტროცკისა და მომავალ ვრანგელის ხელშიც ისეთივე მძვინვარე ნადირები იქნებიან ჩვენთვის, როგორც ნიკოლოზის დროს შავი რეაქციონური რუსეთი. ჩვენი ხსნა ჩვენშივეა და ჩვენს გულში უმთავრესად სალსა და შეგნებულს მხედრობას უნდა ვზრდიდეთ!..

დიმიტრი ჭიაბრიშვილი.

პარტიულ მსაჯობას.


თქვენ, ვინც ძველ გმირთა მღუმარე საფლავებს ქვები აჰხადეთ და ორბის სიკბუტით წამოშალეთ მთელი ლაშქარი, შეასხით ხორცი, თქვენი სისხლი და მათი სულით კრწანისის ველზე გააფრინეთ თეთრი შერნები.

თქვენ, ვინც ამაყ წინაპართა დროშა იტვირთეთ და მათი მარადიული სიმამაცე გულს გაიღვიეთ ქართლის დედის გამოსახსნელად.

თქვენ, ვინც ჩვენ ერის დღეგრძელობა ღმერთ შემოსილ ქართლოსისა და ფარნაოზის მახვილის აელვარებით დააკანონეთ მარადიულ ყამთან სასრბოლად.

თქვენ, ჩემი ერის სიამაყით დამთვლალნო შვილნო, სამშობლოს საკურთხევის წინ ლოცვით გამთბარს ამ მცირე შრომას მოგიძღვნით კრძალვით, სიყვარულით...

როცა ბრძოლის ველს დაქანტულნი ჩამოშორდებით, ჩრდილში ქრილობას შეიხვევდეთ შურის



ძიების ორბთა ფრთების შესაკუმშველად, გადიკო-
თხავდეთ ამ ფურცლებსა და იხარებდეთ:

ქება, ჟამიერ და აღწერა გმირთა-გმირობის, აღ-
წერა და ქება არის იმავ დროს თქვენ!

შეინახავდეთ უბის წიგნათ ამ პაწია ძეგლს,
თქვენ, ქართველ ერის დიდების მატარებელნო,
ღირსეულ-მამულის შვილნო!

კრწანისის ომი.

გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება,
თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა
თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება
მხნეობით აღტაცებული ქაბუჯი ხმალსა მისწვდება...

გრ ორბელიანი.

I.

მეფე ერეკლე მეორემ გამეფებიდანვე ხელი
მიჰყო საქართველოს გაერთიანებას და განმტკიცე-
ბას, რაც საუცხოვოდ მოახერხა და სახელიც გაი-
თქვა, არა თუ აზიის სამეფოებში, თვით ევროპა-
შიც კი ფრიდრიხ დიდს, მაგალითად, თავის საქმე-
რად ისა ჰქონდა, რომ თავის თავს მეფე ერეკლეს
უწოდებდა:

„მე აქ ვარ ევროპაში, ხოლო აზიაში კი მე-
ფე ერეკლე“ -- ი ერეკლეს სიმახადე, რას ათქმე-
ვინებდა სახელოვან ფრიდრიხს. ბევრი რამ კი ჰქო-
ნდა დასაკეხი მეფე ერეკლეს: მის გამეფებამდე
პოლიტიკურად დასუსტებული და დაქსაქსული სა-
ქართველო წელში მაგრდება და თავდაცვიდან შე-
ტევაზე გადადის, როგორც ლეკთა და სპარსელთა
ასალაგმავად, ისე ოსმალთა შესამუსრაად. მრავალ
ბრძოლაში გატეხილმა სპარსეთმა არა ერთხელ დაჰ-
ხარა დროში ერეკლეს წინაშე და მთელი ოლქები
და სახანოები, როგორც შირვანისა და შექისა ისე
განჯისა და ყარაბაღისა მის ხელში გადმოვიდა.

თავის მხრით ერევნისა და ნახიჩევანის ხანე-
ბიც მოწინააღმდეგეობით ქედს იხრიან ერეკლეს მახვილის
წინაშე და მის მოხარკეობათ აცხადებენ თავს. ერთი
სიტყვით, ამიერ-კავკასია სპარსეთთა მძლავრობიდან
განწმენდილ იქმნა და არეზის იქით განდევნილი,
ეს იყო საუკეთესო ხანა საქართველოს მახვილის
გამარჯვებისა და აღორძინებისა, რასაც გვირგვინად
მოჰყვა ქართლ-კახეთის გაერთიანება სახელოვან მე-
ფის სკვიპტრის ქვეშ.

არა ნაკლები დღე დააყარა დაღესტნის ლე-
კებსა და შემდეგ თვით ოსმალეებსაც, რომელთა ში-
შით თვით ევროპაც კი კანკალეობდა.

ოსმალეთთან ბრძოლის დაწყება ერეკლეს მო-
უხდა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის

დროს. საქმე ის იყო, რომ რუსეთის დედოფალმა
ამ დროს შეიმუშავა ფრიად შესანიშნავი დიპლომა-
ტიის განდევნისა ევროპიდან რუსეთის მიმართ
1769 წელს გამოუცხადა პირველი ომი ოსმალეთს,
თანაც კაცები აფრინა იმ დროინდელ ყველა საქ-
რისტიანო სახელმწიფოებთან მხარი დაეჭირათ მის-
თვის.


ასეთივე მოწოდებით მოჰმართა მეფე ერეკლეს
და იმერეთის გვირგვინოსანს სოლომონ მეორეს.
ქართველობამ სიხარულით მიიღო ეს მოწოდება,
მით უმეტეს რომ იმავე წელში საქართველოში პი-
რველად მოვიდა რუსის ჯარი გრაფ ტოტლებინეს
შეთაურობით.

მეფე ერეკლე სურამთან შეუერთდა მას შვი-
დი ათასი კაცით და თამამად გასწია ახალციხისკენ.
მაგრამ გრაფ ტოტლებინეს, თურმე, ვერაფერს ვერ
განხარებდა გულში. სწორედ გარდამწყვეტ წუ-
თებში მეფე ერეკლეს მოსთხოვა ხელის მოწერა
რუსეთის ქვეშევრდომობაზე. მუდარამ რომ ვერ
გასტკრა, მეფემ დაიფხოვა იგი, ტოტლებინე რუსე-
თისკენ წავიდა არხენად, მაშინ როდესაც ერეკ-
ლეს თავს დაესხნენ შურისძიებით აღფრთოვანებუ-
ლი თურქები ბორჯომის მახლობლად, აწყურთან.

მართალია, მეფემ სიკაბუჯე მოიგონა, და სას-
ტიკად დაამარცხა მტერი, მაგრამ მომხდარმა ამბავ-
მა, ტოტლებინეს ლაღატმა ფრიად ჩააფიქრა იგი:
„ეგ, რუსთავანაც აღარა გამოვა რა ხეირიანი“, --
ამბობდა იგი. მაგრამ საგონებელში იმ გარემოებამ
უფრო ჩააგდო, რომ რუსთავან მოტყუებული დიდ
ხანს ვერ შეირჩენდა გამარჯვების დაფნას და დღეს
თუ ხვალე შურს იძიებდნენ მისი მტრები. და აი-
რომ ყოველთვის მზად ყოფილიყო, გადასწყვიტა
მოკავშირენი ეძებნა სადმე, უფრო საიმედო, ვიდრე
ვერაფერ ტოტლებინის ხალხი.

ამ მიზნით 1781 წ. ელჩები გაუგზავნა რომის
იმპერატორს იოანეს და თან გაატანა ეპისტოლე,
რომელშიაც სხვათა შორის სთხოვდა ფულს და და-
ხმარებას. იგივე თხოვნა გაიმეორა მეორე წელს
და ფიცსა სდებდა, თუ კი ომი იქნება ოსმალეთთან,
მეც აქედან დაგეხმარებითო. ამავე თხოვნით მიჰ-
მართავდა მეფე იოსებ მეორეს და პრუსიის მეფეს
საუბედუროდ ევროპამ დუმილით უპასუხა ერეკ-
ლეს, ასე რომ ხანში შესული მეფე ეხლაც ისევ
მარტო დარჩა თავის ძალღონის ანაბარად, რო-
გორც ასპინძის ველზე.

დამაფიქრებელი იყო მდგომარეობა, მით უმე-
ტეს, რომ თვით მის გარშემოც ათასმა ინტრიგამ
იჩინა თავი: რუსეთში აღზრდილი და გადაგვარე-



რადიოსადგურზე

დანახატი კაბ. შავიშვილისა.

ბული ქართლის მეფის ვახტანგის შვილის-შვილი ალექსანდრე, გრუზინსკად ცნობილი, რუსთა შთაგონებით ფარულ შეთქმულებას ახდენდა, ვითომდა ტახტის დასაჭერად და რომ ვერას ვახდა რა, ხან ლეკებს აჯანყებდა, ხან სპარსელებს. ფიქრმა მოიცვა მჭმუნვარე მეფე. მაშ როგორ მოქცეულიყო? ქვეყანას ხომ არ მოაოხრებინებდა ოსმალთა ურდოებს? ამდენი მაჰმადიანი ქვეყნები, შინაური მტრები, თვითონაც წელში მოხრილი, წელთა დაზიდულობის გამო თითქმის სასოწარკვეთილებას მიეცა. სახსნელ გზას დაეძებდა და ეს ხსნა ისევ რუსებში დაინახა: იგი აახლებს გარსევან ჭავჭავაძეს ეკატერინესთან და ხანგრძლივ სჯა-ბაასის შემდეგ დაიწერა 1783 წლის სახელოვანი ხელშეკრულება, ანუ ტრაქტატი, რაზეც 24 ივლისს ჯერ გორში და შემდეგ ქ. გიორგიევსკში ხელი მოაწერეს ორთავე მხარემ: ამიერიდან საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ იგულისხმებოდა.

რუსეთის პოლიტიკა დღესასწაულობდა...


II.

რუსეთთან დაკავშირების ხელშეკრულების ამბავი ელვისავით მოედო ქვეყნიერებას. განსაკუთრებით ლახვრათ მოხვდა სპარსეთის შაჰს აღამაჰმად ხანს და საზოგადოდ ყველა სამაჰმადიანო ქვეყნებს, რკინის რკალსავით რომ ერტყნენ საქართველოს. რა თქმა უნდა, სამძიმო იქნებოდა მათთვის არამართო იმიტომ, რომ საბუდამოდ ეთხოვებოდნენ ათას წლობით ნაოცნებარს გულის ნადებს უმშვენიერეს კაპწია ქვეყნის ხელში ჩასაგდებად, არამედ იმი-

ტომ უფრო, რომ საქართველო, ეს უძველეს დროიდანვე რკინის კარებად აღიარებული ევროპასა და აზიის შუა ეხლა იღებოდა ევროპის საქრისტიანო სახელმწიფოსთვის. განრისხებული აღამაჰმად ხანი, ცოფებსა ჰყრიდა და მუქარას მუქარაზე უთვლიდა ერეკლეს. იგი ისედაც ამხედრებული იყო მთელი კაცობრიობის წინაშე ყველა იმ უბედურებისთვის, რაიც მიაგო ნადირშაჰმა, რომელმაც პატარაობისას დაასკურისა და დაამახინჯა სამუდამოდ, რათა ტახტის წართმევის შიში აღარა ჰქონოდა. უსახური, შექმუხნილი, ყბებ ჩაცვენილი და ქონდრის კაცსავითა დაგვალული იგი ტახტის ხელში ჩაგდების წყურვილით იყო გატაცებული. ეს სურვილი საბოლოოდ აუცხადდა აღამაჰმადხანს, იმ წამსვე ჯერ თავისიანებს მიჰყო ხელი 1785 წ. დაიპყრო თეირანი, ირაკი და აზერბეიჯანს ამოსული ერეკლესგან მოითხოვდა მორჩილებას.

შურის ძიება და სისხლის წყურვილი თანდათანობით გაეზარდა. მისი თვალები ბორცების ცეცხლით ელავდა. შიშითა თრთოდნენ, ვინც კი ოდნავად გაუბედავს თვალეში შეეხებინა უბადრუკ დასაჭურისებულ შაჰს. მისი სახის მეტყველება, მუდმივ ზიზლით ათამაშებული ტუჩები, არასოდეს გაულიმარი სახე მუდმივი კივილი იყო იმ საზარელი ამხედრებულ სიმახინჯისა, რომელიც ბავშვობაში მიაგო ნადირშაჰმა. იგი ყველაფერს ზიზლით უყურებდა, როგორც აღამიანებს, ისე ცხოველთ, ფრინველებსაც კი. სიცილი, მხიარულების აჩრდილის გატარებაც კი აღკრძალული იყო სასახლეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ყაზარმაში თავისუფალ დროს

ნახატი კაბ. შავიშვილისა.

შეუწყალეზღად ისჯებოდა დამნაშავე და არა დამნაშავე, ვისი სახეც კი არ მოეწონებოდა მას. დღიდან გამეფებისა არავის ახსოვს აღამაჰმადხანის აღერსიანი სიტყვა. პატიება და შეწყალება ზომ ლექსიკონიდან სამუდამოდ ამოშლილი იყო. მაღალი, აწოპებული დოღბანდი ჰფარავდა მის მოპარსულს თავს და სიკვდილის ლანდსავით აკრთოლებდა მის უსიცოცხლო დაღმეჭილს სახეს. განა გასაკვირველია, თუ ასეთი ადამიანი შურის მარადიულ საძიებლად უბრქანებდა ნადირშაჰის ნაშთის ამოთხრას და სასახლის კარის ზღრუბელზე დაგდებას, რომ მუდამ ფეხით გადათელვა შესძლებოდა?

აი, სწორედ ეს ადამიანი იყო, რომ ახლა საქართველოსკენ გამოფრინდა. რაკი უარყოფითი პასუხი მიიღო ერეკლესგან, უკვე იქცა ჯარების მოსაგროვეზღად და რისხვის ქარცეცხლის დასაყრელად. ქართველი ერი შეშფოთდა. სოლომონ ლიონიძე, უშესანიშნავესი პოლიტიკოსი და მსაჯული მეფე ერეკლესი—მოითხოვდა სპარსეთთან მეგობრულ კავშირის აღდგენას:

რუსეთი, როგორც გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენ არ გამოგვადგება. იგი შორსაა—გაიგოს ჩვენი გულისტკივილი, ამიტომ იყო, რომ მოტყუებული დავრჩით და დღემდე არც ერთი მუხლი

ჩვენი ხელშეკრულობისა არ იქმნა შესრულებული.

ასე სჯიდა სოლომონ ლიონიძე და მისი მომხრე ჯგუფი, მაგრამ მეფე სულ სხვა აზრისა იყო, რუსეთთან კავშირის განწყვეტა საქართველოს სამარადისო დამხობა იქნებოდა. ამიტომაც გაიგო თუ არა სომეხ ვაჭრებისგან აღამაჰმადხანის სამზადისის ამბავი, 1795 წ. დასაწყისში გარსევან ჭავჭავაძის შუამდგომლობით მოითხოვდა ექვსი ან ხუთი პოლკის გამოგზავნას აღთქმული არტილერიით, რომელიც ტრაქტატის ძალით მეფე ერეკლეს უთხოვენელადაც უნდა მოსვლოდა საჩუქრად, მაგრამ ნახევარიც დღემდე გადმოცემული არ იყო.

(შემდეგი იქნება).

ჯარის-კაცის წერილი.

ჯარის-კაცის დანიშნულება ორნაირია: 1—ჯარის-კაცი მიგნით და 2. ჯარის-კაცი ბრძოლის ველზედ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ მომენტს შორის არის საერთო საფუძველი, მათ შორის თვალსაჩინო განსხვავებასაც ვაჩვენებ.

1. ჯარის-კაცი მიგნით—არის უპირველეს ყოვლისა, სრულ-უფლებიანი მოქალაქე. მისი პიროვ-

ნება იმდენად მალა დგას, რამდენად იგი პირნათლად ასრულებს იმ მიზანს, რისთვისაც არის მოწვეული და რასაც სამშობლოს სამსახური ეწოდება. აქ იგი საზოგადოებრივი ოჯახის ერთ-ერთი წევრია და მარტო წევრი კი არა, იგი არის მაგალითის მაჩვენებელი საზოგადოებრივ ცხოვრების წესიერების დაცვაში.

ამ მხრივ მისი პირდაპირი მოვალეობა ყოველგვარი თვალთ ნახული უწყისობა და უსამართლობა დაემოს და კანონიერი გზით აღაგნოს ასეთი საზოგადოებრივი მყუდროების დამრღვევი შემთხვევები, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის სპეციალურად არსებობს ორგანო.

თუ-კი ჯარის-კაცი საზოგადოებრივი ოჯახის ერთ-ერთი სასურველი წევრია, აქედან აშკარაა, რომ იგი ვალდებულია გაეცნოს საზოგადოებრივ ცხოვრებას, თვალ-ყური ადევნოს ამა იმ მოვალეობას და ნათელი და შეგნებული წარმოდგენა ჰქონდეს, როგორც თავის პირდაპირ მოვალეობაზე, ისე საერთოდ ცხოვრებაზე.

როგორც მოქალაქეს, ჯარის-კაცსაც აქვს თავისი სულიერი, ესპეციური მოთხოვნილება, მას უფლება აქვს ეს მოთხოვნილებაც დაიკმაყოფილოს. აი სწორედ ამ მიზნისთვის არსებობს კულტურულ განმანათლებელი სექცია, რომელსაც ჯარის-კაცი გონებრივ ტამარში შეჰყავს.

მაგრამ ამ უკანასკნელის მიზანი მარტო იმით როდი ამოიწურება; კულტურული-განმანათლებელი სექცია ეს ის მერცხალია, რომელიც იშვიათად მოევიწინება ხოლმე ზამთრისაგან გულშეღონებულ ადამიანს და გაზაფხულის მოახლოებას ახარებს.

და მართლაც, გადავავლოთ თვალი რას წარმოადგენდა ჩვენი ჯარი ამ სამი ოთხი წლის წინად და რას წარმოადგენს ეხლა: მაღა გახსნილი რუსეთის იმპერიალიზმის ბრმა იარაღი — ყოველგვარ გონებრივ და ზნეობრივ ღირებულებას მოკლებული, აი რა იყო ჩვენი ჯარი წინეთ. დღეს-კი სულ სხვაა: ჩვენ გვინდა ჯარი არა შეუგნებელი ბრბოსაგან შემდგარი, რომელიც მხოლოდ ცხვრის ფარას წარმოადგენს, არამედ ჯარი, როგორც ფიზიკურად კიდევ უფრო გონებრივად და ზნეობრივად განვითარებული.

ჯარის ბრმა იარაღად გადაქცევა, რა თქმა უნდა საჭირო იყო რუსეთის იმპერიალისტიზმისათვის და ამის გაგება არც ისეთ საძნელო და თავსამტკრებელია. მხოლოდ ისეთ სახელმწიფოში, სადაც მშრომელი ხალხის კეთილდღეობა იქედება, ჯარს ყოველთვის ჩასძახიან: „ჰა, გამოდით შეხედეთ, თვალ-ყური ადევნეთ რას ვაკეთებთ და თქვენც გვერდში აწოგვიდეთ, რათა საერთო ძალოვნით და სოლიდარული გზით შევქმნათ მშრომელი ხალხის ბედნიერება.“

ამას გარდა, სამწუხაროდ ჩვენდა, ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია სრულებით წერა-კითხვის უცოდინა-

რი ახალგაზრდობა, რომელიც სიბნელეში უნდა დარჩენილიყო, მაგრამ აი ჯარი, აი ყაზარმა, მაგრამ ძველი ყაზარმა კი არა, მხოლოდ ჩართული, სადაც სკოლის სუნი ტრიალებს, აქ ჩვენი ჯარის უსწავლელ ჯ.კაცს გონების თვალი გაახილოს, აქ შეუძლიან მას მიიღოს ის ცხოვრებაში გამოსადეგი და ფრიად საჭირო განძი, რომელსაც იგი მოკლებული იყო. და თუ დრო და ყამმა საშუალება მოგვცა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ცოტა ხანში სრულებით უმნიშვნელო რიცხვი-ღა დარჩება წერა-კითხვის უცოდინარი ჩვენში.

II. სულ სხვა არის ჯ.კაცი ბრძოლის ველზედ, აქ იგი უკვე მთელი თავისი არსებით მეომარია. მისი ფიქრი განუწყვეტლივ სამშობლოს დაცვის გარშემო უნდა ტრიალებდეს.

თუ მას შიგნით ათას გვარი სულიერ-მონებრივი საზრუნავი საქმეები ჰქონდა, ბრძოლის ველზედ იგი ყველაფერს იფიცებს და ერთად-ერთ მიზანს ისახავს; ეს არის: არ მისცეს მტერს საშუალება ბინძური ხელით შეეხოს მშობელი ერის ცხოვრებას. იგი არ უნდა ფიქრობდეს ცოლზე, შვილზე, მშობლებზე; მან იცის რომ მტრის გამარჯვება, საერთოდ სამშობლოს და კერძოდ მისი ოჯახის განადგურებას ნიშნავს. ის ხედავს, რომ ბრძოლის ველზე და იარაღით ხელში, მტრის წინააღმდეგ მოქმედებს. მაშასადამე რაც უნდა დაუჯდეს სამშობლო უნდა უზრუნველჰყოს განადგურებისაგან. მხოლოდ მაშინ დაჰყარდება მშვიდობიანი ცხოვრება სამშობლოში, რომელიც ვერც საჭიროა მით უმეტეს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისათვის.

ჯ.კ. იონა ჯანელიძე.

კვირვას სტუმარს კაუსკის!

(ჯარის-კაცის თქმა).

ბევრს ახალს ნახავთ, — მაგრამ ბევრს ძველს მცნებას მირონ-ცხებულსა; რითაც გვიტყვებთ — ბრძოლის ჰანგს, — დღეს მზის სხივებში შვებულსა!

ფიქრს გაგიმართლებთ ქეშმარიტს, შენახულს შემზადებულსა; მრავალი ბრძოლით — შენი თქმის უზომოთ შეყვარებულსა!

ჩვენს ამაყს, გულწრფელ შრომის შეილს ბევრჯელ დუხჭირად უვლია; აკენესებულა, — მხოლოდ შორს შენგნით არ გადაუვლია!

ყვავილებს ჰფენდა იმავე გზით, რაზედაც თვითონ გჩვევია; დასამტკიცებლათ — მან ნახა ვინცა შორიდან გეწვევია!

დათიკო ნ. ლოლობერიძე.

ოპის პრაქტიკა

(გაგრძელება).

დრამა ოთხ მოქმედებად. (გურიის ცხოვრებიდან).

მომქმედნი პირნი:

- 1) კესარია 50 წლის.
- 2) იოსებ—კესარიას ქმარი . . . 60 წ.
- 3) დათიკო { იოსების შვილები 26 წ.
- 4) ლადიმე { 20 წ.
- 5) მატრონე —ქვრივიშვილი 55 წ.
- 6) მარო 18 წ.
- 7) ელენე 25 წ.
- 8) სანდრო—ვარიძე 20 წ.
- 9) თედორე იოსების ძმა 50 წ.
- 10) კოსტა, გლეხი 50 წ.
- 11) ნიკო, აზნაური 40 წ.
- 12) ვარდო 35 წ.
- 13) კომისარი 40 წ.
- 14) ყარამან 60 წ.
- 15) ოფიცერი 30 წ.
- 16) მოხუცი ქალი 80 წ.
- 17) სერგო { ჯარის კაცები 25 წ.
- 18) ვასო { 25 წ.

პირველი, მეორე და მესამე ჯარის კაცები. მრავალი ქალები და მოხუცი კაცები.

მოქმედება სწარმოებს 1918 წელს.

მესამე მოქმედება

(სცენა პოზიციის ზურგის მხარე. პირდაპირ მოსჩანს მაღალი გორა. გორის პირას მდინარეა. მდინარეს აქეთ-იქით ბუჩქნარი. სცენა დიდრონი ხეებით არის დაფარული, სადაც გადის ვიწრო გზა მარჯვენიდან მარცხნივ. თენდება, მზის სხივები მკრთლათ ჩამოსცქერის დაბურულ ხის ტოტებში. მარჯვნივ ხმაურობაა ჯარის. მარცხნივ შორს ისმის ძაღლების ყეფა და ყმული. ჯარის კაცები აქეთ-იქით ვარბი-გამორბიან. შემოდის მარჯვნიდან ერთი ჯარის კაცი თავდახრილი, შეჩერდება და ჩაფიქრდება, უკან ნელის ნაბიჯით მოსდევს მეორეც).

გამოსვლა პირველი

სერგო და ვასო

სერგო: რა ვქნა. ვიბრძვი მარა რისთვის, გული აღარ მაქვს... ვაი თუ... თუ... იქ რუსეთში... (ჩაფიქრდება, ამ დროს ვასო მხარზედ ხელს დაჰკრავს).

ვასო: რა გინდა, რა გაწუხებს, მითხარი ჩქარა?!

სერგო: (შეერთება) არაფერი... ვასო...
ვასო: ჩქარა მითხარი! თუ გულით ბრძოლა არ გინდა, რისთვის იბრძვი!... დაიხსინი. ბრძოლა არ შეიძლება, არც ნაძალადევი სიყვარული იქნება!..

სერგო: არა მე.. ისე... თავი მტკივა... სიცხე მაქვს... თორემ თქვენთან... ვიბრძოლებ... მე მსურს თქვენთან ბრძოლა... ერთად სიკვდილი...

ვასო: მაშრა გინდა, რაღა გაწუხებს, სერგო, მითხარი?!

სერგო: არაფერი, წავიდეთ, ვიბრძოლოთ. (მიდის, ვასო ერთხანს გაკვირვებით შესცქერის და შერე ისიც გაჰყვება).

გამოსვლა მეორე

მარო.

მარო: (შემოდის მარცხნიდან ფრთხილად, გამხდარი გაფითრებული. მიდის მარჯვნივ და იყურება) სადღაც იქ არის!... (ხელმიშვერილი) სადღაც აქეთ... (უკან დაიწევა) არ დამინახოს... (კვლავ ფრთხილათ იყურება) ლადიმე არ სჩანს, ვილაც ცხენზეა!.. (დააკვირდება) ის ლადიმეა, ლადიმეა!.. (მუხლები ეკეცება ქვითინებს) აქეთ მომხედე! აქეთ მომხედე, ლადიმე! ჩემო სიცოცხლე!.. კარგად შეგხედო, სად ხარ, რად არ მომხედე!.. (ხელს ზეცისაკენ ააპყრობს) შემობრალე, უდანაშაულოდ დატანჯული. მომხედე, მომხედე!.. წუთიერად მაინც დავსტკბე შენი ცქერით.. (თავს დახრის ქვითინებს, შერე ისევ იყურება კარგათ დააკვირდება, შერე შეკრთება) ის ლადიმე არ არის, არა!.. მუხლებში ჩაიკეცება და ქვითინებს).

გამოსვლა მესამე

იგინივე და ყარამან

ყარამან: (შემოდის მოხუცი, რომელსაც მიაქვს საგზალი ჯარისათვის, შეამჩნევს მაროს და მიდის ახლოს, მარო შენიშნავს მამას, სასწრაფოდ ზეზე წამოდგება და ცრემლებს იშორებს. ყარამან იცნობს და გაკვირვებით) ეს ვინ არის! შენ აქ რა გინდა?!. შენ მარო!.. (დადებს ხურჯინს) მითხარი, რა მოხდა?!. შენ აქ რა გინდა, როგორ წამოდი! სად იყავ?!. (მარო ხმას არ გასცემს. ყარამან მიდის ხელს მოატანს გაანძრევს) რა გინდა მეტი, გოგო, მითხარი ჩქარა?!.

მარო: (კანკალით) მე... არაფერი...
ყარამან: გოგო, მითხარი, აქ ვის დაქვებ, სახლს რათ მოშორდი?!. გათენებისას!.. დედა შენმა გიხატრა, არ გაგაღვიძებო, მან საგზალი მომიმზადა, მაროს სჩინავსო და შენ აქა ხარ. შუა ტყეში?! მარტო ქალი!..



იოსებ თარალაშვილი

*) მე-5 ათასეულის მსახიობი.

*) (რედაქცია სთხოვს ჯარის ნაწილების სცენის მოყვარულ მოგვაწოდონ თავისი ჯგუფური სურათები)

მარო: (სასოწარკვეთილებით) მამა!.. მამა!!

ყარამან: (იმედ დაკარგული) დავლუბულვარ!! (თავში ხელს იტაცებს)

მარო: არა მამა ჩემო, მე სულ სხვა...

ყარამან: (გააწყვეტინებს) აჰ რაო?!! მაშ თავსა მჭირი... კიდევ არ გეყო! აქ ვინმეს უტდი!! (თავში ორივე ხელს შემოიჭერს) დავილუბე! გავილანძღე!.. თავი მომეჭრა... გათავდა!!

მარო: (ვედრებით მამასაკენ წაიწევა) მამა, მე მიყვარს!! (ჩაიჩოქებს ქვითინებს) შემობრალე მამა, შემობრალე!..

ყარამან: რას ამბობ, ვინ გიყვარს, რა გინდა?..

მარო: (რა შენიშნავს მამის სიმკაცრეს შესცვლის ლაპარაკის კილოს) მე, არაფერი... ისე...

ყარამან: (მიდის მაროსთან, ხელს მკლავში ჩაავლებს ზეზე წამოაყენებს და თვალეში ჩასცქერის) შემომხედე თვალეში, რა გინდა, რა გემართება?!.

მარო: არაფერი... არაფერი?!

ყარამან: ჭკვაზე ხარ?!

მარო: ჰო, კი ვარ... ჩაგრული, ტანჯული!! (ტირის)

ყარამან: (ხელით უჩვენებს მარცხნივ) გასწი, წადი, თუ ჭკვაზედ ხარ, შინ დამხვდი, იქ გეტყვი ყველას!..

მარო: (ქვითინით მიდის)

ყარამან: (თავში ხელს შემოიბრტყამს) ღმერთო! რას ვხედავ! შვილი მეღუბება!.. ჩემს ტანჯვას სხვაც დაემატა, ერთი შვილი, ისიც წავიდა, გაქრა, გაფუჭდა!! ეგჰ... მჭადს მაინც არ მოვაშიებ მეომარ ახალგაზრდებს და.. (აიღებს საგზალს და გადის მარჯვნივ).

გამოსვლა მეოთხე

ვანო: (რომელიც წინა სცენისაკენ წყლის პირას იყო ჩამალული; ზევით ამოვარდება და ფრთხილათ გასცქერის მიმავალ მაროს) ჰა, სად წამიხვალ, სად... (თავისთვის) არა, რაღა მაწვალა მაინცა!! არ

იქნა და არ იქნა ერთი მაგის ხელში ჩავდება! (გულზე ხელს დეირტყამს) მარა, თუ ვყოფილვარ ვანოიე გაყურებიებ სერს!.. ყოველ დღე მაგის დევნაში ვარ და ვერაფერი მომიხერხებია... ღრო ეხლა მაქვს!.. სოფელი ცარიელია!.. შინ კაცი არავინ არის!.. და თუ ახლა წამივიდა ხელიდან, მერე სამუდამოდ უნდა გამოვემშვიდობო!.. (ხმა-მალლა) არა, და არა! ვანოიე შენ არ გაგიშვებს!.. სადღაც ჩავიგდებ ხელში და!.. (გაშფოთებული გასცქერის) სად წამიხვალ სადა!.. (გარბის მაროსაკენ).

გამოსვლა მეხუთე.

თედორე, ლადიმე და სანდრო.

(შემოვლენ მარჯვნიდან, ნელის ნაბიჯით).

ლადიმე: (თვალს მიმოავლებს ბუნებას) ეჰ, რა მშვენიერი ბუნებაა... მოდით, ერთი დავსხდეთ აქ, (ხეს უახლოვდება) აი, ამ ხის ძირას, ბიძა ჩემო!..

თედორე: მართლა, ლადიმე, რა კარგია ერთი აქ მოსვენება...

სანდრო: კარგია, თუ მტერმა გვაცალა, ჩემო თედორე... (სხდებიან).

თედორე: (დაღლილი ხმით) რა ექნათ, თუ არ გვაცლიან, თუ რამე მოხდება მივეშველოთ, ეს კი არა ცოლ-შვილი მივატოვე და მაინც ქე მიდგია სული, ჩემო სანდრო... (პაუზა).

სანდრო: თედორე, ერმალო ჩალიძე, თუ იცი, სად არის? რაც აქ ომში ვარ, არსად არ შემხვედრია?..

თედორე: ის სახლშია, არ ინება ჩვენთან წამოსვლა, აქაც ბევრი საქმეები მაქვსო.

სანდრო: სწორედ ამას მოველოდი მისგან, იმას მხოლოდ ლაპარაკი შეუძლია ხალხის მოსაწონი, საქმით კი, არაფერს გაგვიკეთებს... კარგია სოციალისტობა, მაგრამ არა სიტყვით, არამედ საქმითაც. ყველას მოსწონს მეცნიერებიდან დასაბუთებული მომავალი სოციალიზმი და აღტაცებით გამოსთქვამენ ზოგიერთნი მის სილიადეს, მაგრამ საქმით კი აკეთებენ! თუ ნამდვილი სოციალისტობა გინდა, საწინააღმდეგოს არ უნდა მოქმედებდე, ყოველ ნაბიჯში მის მოძღვრების მიხედვით მუშაობდე და მხოლოდ მაშინ შეგიძლიან შეითვისო, შეეჩვიო მის კანონებს და გახდე, როგორც სიტყვით, როგორც საქმით, ისე სულით ნამდვილი სოციალისტი.

თედორე: მართალია, ჩემო სანდრო, ეგ შენი სიტყვები მართლაც, რომ ცხოვრებაშია მისადები, ვისაც კი შეუძლია ანგარიში გაუწიოს...

სანდრო: (გულმოსული) მაგრამ ვცდები! ის ჩვენთან როგორ წამოვა, ნასწავლი კაცია: ეკადრება?!

თედორე: მაშ შენი სიტყვით, არც შენ და ლადიმე უნდა იყოთ აქა! თქვენ მერვე კლასში ხართ და ის კი, მეოთხე კლასში დაეთხოვა... ისე ჰო, ქალებს, რომ ჰკითხო სოფლად, ერმალოსთანა ნასწავლი არავინ არის, რადგან ჩვენს სოფელში ერთ თვეს მასწავლებლობდა.

სანდრო: ასეთია ჩემო თედორე, ძალი ცოფიანიაო, რომ შესძახო მართლაც გაცოფდება. ასე ემართება ჩვენ ერმალოსაც. ქალების თქმით, მართლაც იმისთანა ნასწავლი კაცი თუ მოიპოვება ქვეყნად აღარ გონიან. და, რომც ნასწავლი იყოს რა აქვს სათქმელი!.. ნასწავლნი არ უნდა იბრძოდეს საერთო გასაჭირის დროს?!.. შოღლატეა და მეტი არაფერი, შემარცხენელი, არა თუ მარტო სოციალისტების, არამედ ყველა ქართველის. ის დიდათ არ განსხვავდება შოღლატე ნიკოიას, კოსტაიას და სხვა ასეთებისაგან.

ლაღიმე: (სასოწარკვეთილებათა, სწუხს იღუმლად)

თედორე: (ამოიოხრებს) არ ვიცი, რა გაუძლებს ამდენ უბედურებას, ჩვენ ერთი მუჟა ხალხი ვართ, მტერი კი რამდენიც გარეშეა, არა ნაკლებ დამაზიანებელი შინ ვცყავს!.. ჰეი, ჰეი, ჩვენი ცხოვრება... ლალატი და უბედურება, ყველა ერთად დაგვატყდა თავზე, როდესაც საწყალომა ხალხმა ერთი თავისუფლად ამოვისუნთქეთ...

სანდრო: ასეა თედორე, ეხლა გვინდება ბრძოლა, როდესაც ჩვენი ბრძოლით ვიცავთ ამ თავისუფალ სუნთქვას, (ზეზე წამოდგება) ჰე, თავისუფლების მოყვარულმა მოქალაქემ თავის სისხლით უნდა დაამტკიცოს თავისუფლების სიყვარული!.. დე, დაინახოს მთელმა ქვეყანამ, რომ ჩვენ თავისუფლების დამცველები ვართ და შეგვიძლიან კიდევ მის დასაცველად დავღვაროთ ჩვენი უკანასკნელი სისხლის წვეთები!.. გასკდეს დედამიწა და გადაშავდეს თავზედ შავი სამარე, თუ ამას მოითხოვს საერთო საქმე, ხალხთა თავისუფლება!.. — ასეთია ჩვენი გზა ჩემო თედორე!..

ლაღიმე: (უცებ ზეზე წამოვარდება, პირს იბრუნებს და იქით ხეზე მიეყრდნობა) ოოჰ!... რისთვის გტანჯი, მარო!.. რისთვის!!

თედორე და სანდრო: (მიდიან ახლოს ლაღიმესთან და გაკვირვებული შესცქერავენ).

თედორე: (ლაღიმეს) რა გემართება დღეს შენ ლაღიმე, — მითხარი ბიძი?!

ლაღიმე: (შემობრუნდება) არაფერი ბიძა ჩემო!! (ამ დროს ატყდება მარჯვნივ სროლა და ხმაურობა, ყველანი შეინძრვიან)

სანდრო: აბა უშველოთ, დაგვეცენ!!!

ყველანი: (სწრაფად გარბიან და ლაღიმე, რომელიც უკან გასდევს, გაიძახის:)

ლაღიმე: ბრძოლა გამიქრობს მე გულზედ ნაღველს!!

(კარგა ხნის შემდეგ შემოდის ერთი მარცხნიდან და მეორე მარჯვნიდან ნელის ნაბიჯით. მარჯვნიდან შემოსულია — გლეხი, მარცხნიდან — აზნაური, პირველ დანახვაზედ ორთავენი შეკრთებიან, შემდეგ ერთმანეთს, მხიარულად გადაკოცნიან და აქეთ-იქით შეშინებულივით იყურებიან).

გამოსვლა მეექვსე

ნიკო და კოსტა

ნიკო: რა ქენი კოსტა, როგორაა საქმე?! მადლობა ღმერთს უვნებლად, რომ დაბრუნდი!..

კოსტა: მე ჩემი ეშმაკობა ყოველგან გაბიყვანს, დიდებულო აზნაურო!

ნიკო: დაილოცა: შენი სახელი რა მონივრებული კაცი ხარ? მაგიერში ჩემო კოსტო, თუ სრულეთ ჩვენი გულის წადილი, მაშინ, შენ იქნები გლეხებში ერთად ერთი წარჩინებული პირთაგანი და დიდ ჯილდოსაც მიიღებ იცოდე!..

კოსტა: გმადლობ ბატონო, თქვენი გულისთვის თავს არ დავზოგავ და სანამ შემეძლება ვეცდები დაგობრუნდეთ თქვენი ძველი ბედნიერება.

ნიკო: ასე ჩვენო ერთგულო, და მერე მეშვიტებე!.. სხვა, როგორ კოსტა, რას შვრება თათრის ჯარი, ჩემი ნიშნები ხომ ძალიანი გამოადგათ?..

კოსტა: ძალიან ბატონო, დიდ მადლობას ამბობენ და მასთან დიდ ჯილდოსაც გვპირდებიან ჩვენს ასეთ კეთილ განზრახვისათვის, როდესაც შემოვლენ და მიწასთან გაასწორებენ მაგ თავ აშვებულ გლეხობას!.. მაშინ ჩემის აზრით ბატონო ნიკო, ჩვენისთანა ბედნიერი აღარავინ უნდა დარჩეს!..

ნიკო: შაქარი შენს პირს!.. აბა, ეხლა დროს ნულარ ვკარგავთ, გასწი შენ ჩემო კოსტა, უკანვე და, უთხარი: (უჩვენებს ხელით გორას) აი იმ გორაზე აქვთ ეხლა ზარბაზნები დადგმული და რომ დაღამდება ამელამ მე გიჩვენებთ წითლად ანთებულ ფარანს, სწორეთ იმ არდგილიდან, სადაც მარცხენა კედრით, ოცი ფეხის ნაბიჯზე, ზარბაზნები აქვენ დადგმული. და, როცა მე ფარანს ჩავაქრობ, მაშინ დაუშინეთ ზარბაზნები იმ არდგილას. გასწი, ჩემო საყვარელო კოსტა და შენ იცი!!

კოსტა: გიკეთდეს ხელები ბატონო ნიკო, მარა იცოდე ბატონო, რომ თქვენ საქართო მოეფარეთ გორას ზარბაზნების ყუმბარებმა არაფერი გაწყინოს. მშვიდობით, ბატონო! (ართმევს ზელს).

ნიკო: ჰო, მართლა, კოსტა, უთხარი საშიში არაფერია თქვა, ამათ ჯარი, ძლიერ ცოტანი ჰყავთ და ერთი მაგარი მოწოლის შემდეგ, ყველანი ქუქულებივით ჩაგივარდებათ ხელში თქვა!.. ასე ჩემო კოსტა. ბევრმა თავად-აზნაურობამაც არ მოგვიწყო ხელი, მაგრამ, ბოლოს იხანებენ, როცა პირველი კაცი გავხდებით და ისინი... (უცებ შეჩერდება ისმის გამარჯვების ხმა მარჯვნივ, ქართველი ჯარის: „ურა“, „ვაშა“. კოსტაი და ნიკო ორივენი გაოცდებიან) სუუ... ის გამარჯვების ხმა რაღაა?!.

კოსტა: (შეშინებული) ქართველებია. მგონი დღე დაღეულები მასხრობენ კიდევ!... (სროლა შეწყდება. ისმის უფრო მომეტებული გამარჯვების ხმა. ორივენი ხმა გაკმედილი გაჰყურებენ).

ნიკო: ეგ რა ღმერთის წყრომია!!

კოსტა: (ანუგეშებს) არაფერია ბატონო, მაგათ რამდენი უნდათ იძახონ გამარჯვება, მაგათი კბილები ხომ მაინც დათვლილია...

(ამ დროს ოთხ ჯარის კაცს მოჰყავს ლაღიმე მძიმეთ დაქრილი მარჯვნიდან).

ნიკო: ვილაც მოდის გავიპაროთ!!

კოსტა: გასწი, შენ წინ! მე შევხედავ, ვინ არის!.. (ნიკო გარბის წინ, უკან კოსტა გაჰყვება)

და ორივენი მიიძალებოან. ერთი ჯარის-კაცი შე-
ნიშნავს,—ლადიმე შემოჰყავთ).

გამოსვლა მეზვიდე.

სანდრო, ლადიმე,—პირველი, მეორე და მესამე ჯა-
რის კაცები.

პირველი ჯარის კაცი: აგერ კოსტაია და
ნიკოია დაინახეთ?

მეორე ჯარის კაცი: რაო, მართლა?!

სანდრო: (არ შეუშინებია) როგორ?

პირველი ჯარის კაცი: აი, ეხლა, ორივენი
აქ იდგნენ და ჩვენს დასახვად მიიძალენენ!..

მესამე ჯარის კაცი: ეს მოლაღატენი!..

მეორე ჯარის კაცი: დავედვენოთ! (ლადიმეს
ძირს დაუშვებენ პირველი და მეორე ჯარის კაცი-
ბი გამოუდგებათ).

სანდრო: (გასძახებს) თუ ვერ დაეწიოთ დაანე-
ბეთ თავი და საჩქაროთ დაბრუნდით უკანვე!.. სა-
მაგისო დროს შემდეგაც ვიშოვიო, ეხლა კი, უშვე-
ლოთ საყვარელ ლადიმეს! (ლადიმეს წინ დაიმუხ-
ლებს და ანუგეშებს. ლადიმე სწუხს) ნუ გეშინიან,
საყვარელო ლადიმე! მოიბრუნე სული, უშენობით
ამხანაგები დიდათ დაუძღურდებიან, შენი დაკარ-
გვა ყველასათვის დიდი დანაკლისი იქნება!.. შე-
ნებრ პატროსანი და თავ-დადებული მებრძოლი,
საყვარელი ადამიანი, იშვიათი იქნება. შენებრ
მტკიცე და შეურყეველი ძმებით არის ლადიმე,
მტერი უკუ რომ იქცა!.. მარცხნიდან ხანგამოშვებით
სროლა ისმის).

ლადიმე: (ძლიერ სუსტად) ძმებო! გთხოვთ
უკანასკნელად... სანდრო, ჩემო სანდრო!.. გესმო-
დეს... ჩემ ბიძას ნუ დამიტოვებ, რომელიც იქ
გვერდით მომიკლეს. მკვდარი მაინც უჩვენეთ საბ-
რალო თავის ცოლ-შვილს და შემდეგ ორივენი ერ-
თად მიგვაბარეთ შავ სამარეს, ჩემი სიძის, ეგნატეს
გვერდზედ...

მესამე ჯარის კაცი: (სწუხს).

სანდრო: ამას რას ამბობს, ლადიმე!.. თუ
ძმობა გწამდეს, შენს შესახებ ასეთად ნუ მელაპა-
რაკები. რაც შეეხება ბიძა შენს, მე ვარ ამაში ყო-
ველივე შენი თხოვნის ამსრულებელი. ის ხომ, ის
თედორეა, რომელიც ჩვენს გვერდით განგმირა
მტრის ტყვიამ. ჰოი, საბრალოვ!.. ჩვენი ჭკუის
მასწავლებელი თედორე!.. (თავს ჩაჰკიდებს).

მესამე ჯარის კაცი: (მიდის ლადიმესთან)
ჩვენო საყვარელო ლადიმე, გამხნევი იმედს ნუ
დაჰკარგავ!

გამოსვლა მერვე.

იგინივე, პირველი და მეორე ჯარისკაცები.

პირველი ჯარის კაცი: (სანდროს სისხლს ხომ
ამოვიღეთ!).

სანდრო: (ზეზე წამოდგება) ამოიღეთ? რომ-
ლის?!

მესამე ჯარის კაცი: (შეჰყურებს სიხარულის
თვალებით).

ლადიმე: (იხედება, შემოსულ ჯარის კა-
ცებისაკენ, უნდა თავი წამოსწიოს და რაღაც უთ-
ხრას, მაგრამ ველარ ხერხებს და წამოიძახებს „უუუ“)

პირველი ჯარის კაცი: კოსტაიეს. მეორე კი
გაიქცა, მაგრამ სანაჟ!

სანდრო: მისთვის უფრო ახია სიკვდილი, ის
უფრო მეტს გვიშავებდა, ვიდრე ნიკოია, ახია მასზე
სიკვდილი, რადგან თვით გლეხი გვლაღატობდა და
თავად-აზნაურობას, ჩვენდა ლახვრის ჩაცემაში ეხ-
მარებოდა!.. ზურგს უკან გვიმზადებდა სასიკვდილო
ღანას თავად-აზნაურობას კიდევ არ გაემტყუნება
იმდენათ, ასეთი ღალატი; რადგან მათთვის ხალ-
ჩის თავისუფლება; ჯოჯოხეთია და თათრები რომ
შემოვიდეს მათ ჩამართმეულ მიწებს დაუბრუნებენ.
(ყველანი მიდის ლადიმესთან და ჩასტყერიან) ლა-
დიმე, როგორ ხარ ძმო!..

ლადიმე: (მოინდომებს წამოდგომას თავს წა-
მოსწევს, მაგრამ ისევ დაეშვება. სანდრო დაიჩოქებს
ლადიმეს წინაშე და ჩასტყერის). სატრფოვ ჩემო,
მომიტავე ამდენი.. ხნის.. უბრალოდ, რომ დაგ-
ტანჯე!.. მე ყოველივე გავიგე!.. შენ ყოველივეში
მართალი ხარ.. მომიტავე!.. მომიტავე!..

ყველანი: (გაკვირვებული დასტყერიან ლა-
დიმეს).

გამოსვლა მეცხრე

იგინივე კომისარი და ოფიცერი.

(შემოდის მარცხნიდან კომისარი და ოფიცერი.
როცა დაინახავენ ლადიმეს ორივენი სასწრაფოდ
მივარდებიან მომაკვდავ ლადიმესთან).

ოფიცერი: ლადიმე!..

კომისარი: აჰ, საბრალო ლადიმე!

სანდრო: მძიმე აქვს ქრილობა.

ოფიცერი: (ჩასტყერის) ლადიმე, როგორ ხარ
ძმო! ნუ გეშინია, ეხლა მორჩი და შემდეგ ვეგბ
აღარ მოგვიხდეს ომი მაგ ჯალათებთან. ომი შე-
ჩერდა.

ჯარის კაცები: (გაკვირვებით შესძახებენ)
როგორ!..

ოფიცერი: (მოუბრუნდება ჯარის კაცებს) დროებით ზავია და იმედი გვაქვს, სულ მოედოს ბოლო. ჩვენმა სიმტკიცემ და თავდადებულმა ბრძოლამ შეგვიწყობა ხელი.

კომისარი: მართალია, ომი გათავებულია იტკმის.

მესამე ჯარის კაცი: (ძლიერ აღელვებული, ხმა მაღლა ამბობს) როგორ! შერიგება, დროებით ზავი! მე ეს არ მესმის, მე აქ უნდა ჩავაკლა თავი! შური უნდა ვიძიო მოსისხარ მტერზედ, უნდა შევეწირო მსხვერპლად მაგ ჯალათებს, ჩემი საქმე ბრძოლაა, ბრძოლა! ბრძოლით შემიძლია გამოვადგე სამშობლოს, თავისუფლებას! არა, მე ცოცხალი არ დაუბრუნდები კახელ დედას, სანამ მტერი საბოლოოდ არ დამარცხდება!.. სანამ არ ამოვიღებ დახოცილ ძმების სისხლს და ბათუმსაც არ გადავადრობთ სამარცხენო რეჟაქს!.. და თუ არა და, აქ მოკვდები, ჩემი საფლავი აქ არის, აქ!.. (ხელ-მიშვერით) ამბობოლის ველზე!..

ოფიცერი არა, ამხანაგო შენ გეტყობა კახელი ხარ და შენი სიტყვაც იმას გიმტკიცებს, რადგან კახელები, ისტორიიდან განთქმულია ომში და მუდამ სამშობლოს ერთგული დამცველები ყოფილან, ამიტომაც, მრწამს შენი ასეთი აღელვება, მოსალოდნელიც იყო, მაგრამ დღეს კი, დროს მიხედვით უნდა ვიმოქმედოთ და მხოლოდ ამ საშვალეებით შეგვიძლიან დავისწათ, გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყანა, და ამავე დროს, ჩვენი ასეთი აღელვება, ასეთი მეტი სამშობლოს სიყვარულს, მეტი ზიანი შეუძლია მიაყენოს საერთო საქმეს. ჩვენ მთავრობას უნდა ვემორჩილებოდეთ და ამ საშვალეებით ვეგებ ჩაუქროთ ჩვენს ქვეყანას მოდებული ცეცხლის ალი, გჯერავს თუ არა?..

მესამე ჯარის კაცი: (შეწუხებული იქით გაივლის) აღარ ვიცი, აღარ ვიცი!.. ზავი... დროებითი... აჰ!..

ლაღიმე: (უცებ ხელს ზევით ააშვერს და წამოიძახებს) წამომაცუნეთ!..

სანდრო და პირველი ჯარის კაცი: (წამომაცუნებენ ლაღიმეს).

ლაღიმე: ეხლა მოვკვდე, ეხლა მიმბარეთ შავს სამარს, როცა ვხედავ ჩემ ძმა ისაკის, ჩემ ბიძის, სიძის, მეგობრების და ჩემს სიკვდილს, უბრალოდ არ ჩაუვლია!.. ძმაო ისაკი. ამავეი კარგი მომაქვს...

ჟველანი: (შეწუხებული) რას ამბობ, ლაღიმე!..

ოფიცერი: (შეაშველებს ხელს) ლაღიმე, ნუ გაიტეხ გულს. მოიგონე შენი ვაჟკაცობა...

ლაღიმე: (გული წაუა და ძირს ეშვება) ააჰ!..
ჟველანი: (ეშველებიან-შეწუხებული) მესამე ჯარის კაცი...

ლაღიმე: (ძლიერ სუსტად) წამომაცუნეთ!.. (ზეზე წამოსწევენ) მშვიდო... ბით... ძმებო... მა... რო... (კვდება).

ჟველანი: (ძირს დაუშვებენ — დაუჩოქებენ და უხმოდ ცრემლებს ღვრიან).

კომისარი: (ადგება) ბედნიერი ხართ შვილებო, თქვენ, ხალხის კეთილ-დღეობისათვის გასწირეთ თავი. არ უღალატეთ საერთო საქმეს, დაიცავით უკანასკნელ სისხლის წვეთამდი, დიდება თქვენს მშობლებს! დიდება თქვენს თავდადებულ სამსახურს ხალხის წინაშე!.. თქვენი სახელი უკვდავ იქნება, არ ჩაიშლება არც ერთ თავისუფლების მოყვარულ ხალხის გულში!..

ჟველანი: (დგებიან).

ოფიცერი: (ჯარის-კაცებს) წასვენეთ თავის მშობლებთან, საბრალო, სამშობლოსათვის თავდადებული გმირი!.. (კომისარს) ჩვენ წავიდეთ გავაგებინოთ მებრძოლ ახალ-გაზრდებს ომის შეწყვეტა. (მიდიან).

სანდრო: (აღელვებული და დიდათ დამწუხრებული) საყვარელო ძმაო ლაღიმე!.. მორჩა, გათავდა ჩვენი ძმობა! ჩვენი კავშირი! მოსწყდა ყვავილი. დასკვნა!.. გაჰქრა!.. (სასოწარკვეთილი!, მაგრამ შენ უკანასკნელ სიტყვებს მაინც აღარ მოეწამლა ეს ჩემი გული!.. ეხლა ყოველივეს მივხედი ძმაო!.. ამოვიღებ მის სისხლს, ვინც შენ და შენი სატრფოს სიყვარული აწამა!.. მიბრუნდება შეხედავს ახალ ამომავალ მზის სხივებს. ჩაფიქრდება შემდეგ მზეზე ხელს მიაშვერს) აგერ, ბრწყინვალე მზის სხივებმა მოანათა შენს მცხედარს ძმაო და შენ კი, ველარ შესტკერი მის მნათობ სხივებს... (ხელმიშვერით).

ჰა, მზის სხივზე ციალებს დილისა ნამი, აგერ ხე-ტყენი განიხარებს, მწყობრად შრიალებს, და შენ ვერ ხედავ... ველარ სტკებები ტურფ ბუნებით, ველარ იხილავ ამა მშვენებას შენი თვალებით!.. (ჩაფიქრდება და შემდეგ უფრო თავისუფლად).

მაგრამ, ნუგეში ერთია ძმაო, რომ შენ შესწირე უფლებას თავი... და იმ მზის სხივზე უფრო წმიდაა... ლაღიმე!.. ძმაო!.. შენი საფლავი...

(ჯარის-კაცებს) მოდით, ძმებო, გავასვენოთ ჩვენი ძმა!

ჟველანი: (მიასვენებენ ლაღიმეს. მარჯვნივ ეყურება ჯარის ხმაურობა, გაუმარჯოს თავსუფლებას, გაუმარჯოს ნაყოფიერ ბრძოლას. ისმის სამგლოვიარო სიძღერა).

ფ ა რ დ ა ნ ე ლ - ნ ე ლ ა ე შ ვ ე ბ ა
(შემდეგი იქნება)

ი. ხომერიკი.

საქართველოს.

შენს რკინის საძღვრებს სდარაჯობენ მხნე რაინდები,
 და ვერასოდეს ვერ შეგბღალავს შეურაცხება.
 ციხფერ დილაზე ბრილიანტის რომ აინთები,
 ყველას აბრმავეებს მომხიზლავი შენი სახება.

იფეთქებს გრძნობა სიყვარულის, ჩუმი გალობით,
 სისხლის წამების მოგონება წარსულთან რჩება.
 ჩემი სამშობლო იამაყებს ჯარის წყალობით,
 ერთმანეთს ჰკოცნის საქართველო და გამარჯვება...

ჯ. კ. ტერენტი გრანელი:

არ მინდა ისე...

არ მინდა ისე ქვეყნად გამჭრეულსა და მხოვრება,
 ძირს, რომ არ დავცე კენესა, გამჩნება და მხაროტება.

არ მინდა ისე, რომ ჩავიდე შავს სამარეში.
 რომ ძღვევის დროშა არ ავღმართო აღთქმულ
 მხარეში!..

ი. მეგრელიძე.

პასუხის მეგბელი რედაქტ. ნ. კურდღელაშვილი.

ს ა მ ა რ ც ხ ვ ი ნ ი უ შ რ ც ე ლ ი.



შავი 15/20

მე-X ათასეულის ჯარის კაცს X—სადარაჯოზე ჩასძინებია
 (გვარს არ ვაცხადებთ პირველ შემთხვევაში).